პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ დეკემბერი _____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ---- დეკემბრის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის (პირადი №53001002314) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ა, ნაკვეთი №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.06.548; ფართობი - 680.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (12.10.2023 წლის №007304023) მიხედვით, რომელიც შეადგენს 123 200.00 (ას ოცდასამი ათას ორასი) ლარი. წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, ყოველი 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ, გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. მოქალაქე სოფია ქარჩხაძე (პირადი №53001002314) ვალდებულია წლიური სარგებლობის ქირის გადახდა დაიწყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის შემდეგ.

მუხლი 4. მოქალაქე სოფია ქარჩხაძე (პირადი №53001002314) ვალდებულია სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ა, ნაკვეთი №1; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.06.548; ფართობი - 680.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1) დაასაქმოს არანაკლებ 25 (ოცდახუთი) ადამიანი, სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

მუხლი 5. მოქალაქე სოფია ქარჩხაძე (პირადი №53001002314) ვალდებულია სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე (ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53 ა, ნაკვეთი №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.06.548; ფართობი - 680.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა №1). შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის მიზნით შენობაში ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა სამუშაოების ჩატარების შესახებ, სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი